კვირა, 18 იანვარი 1904 წ.

1877 წელიწადი ოც-დამეერვე 1904

კვირა, 18 იანვარი 1904 წ.

გაზეთის ფასი:

12	თვით . .	10 მ. — კ.
1	,, . .	9 ,, 50 ,,
10	,, . .	8 ,, 75 ,,
19	,, . .	8 ,, — ,,
8	,, . .	7 ,, 25 ,,
7	,, . .	6 ,, 50 ,,
6	,, . .	6 ,, — ,,
5	,, . .	5 ,, 50 ,,
4	,, . .	4 ,, 75 ,,
3	,, . .	3 ,, 50 ,,
2	,, . .	2 ,, 75 ,,
1	,, . .	1 ,, 50 ,,

ივერია

№ 13 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 13

წლ ურის ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის ვადა:

1. ხელის მოწერის დროს—5 მ. და თიბათვის 1-ს—5 მ.
2. ხელის მოწერის დროს—4 მ., მარტის 1-ს —3 მ.ნ. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.
3. ხელის მოწერის დროს—3 მ., მარტის 1-ს—3 მ. თიბათვის 1 ს—2 მ. და ენკენისთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.

1904 წელს

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია“

გამოვა იმავე სივრცით და სრულის პროგრამით, როგორც დღემდე გამოდიოდა.

რედაქცია ყოველს ღონისძიებას იხმარს, რომ გაზეთი გააუმჯობესოს. იმ თანამშრომელთა გარდა, რომელნიც აქამდე მონაწილეობას იღებდნენ, რედაქციას სხვა ჩვენი მწერლებიც დაჰპირდნენ დახმარებასა და თანამშრომლობას.

ფასი გაზეთისა მთელის წლით ისევ **თუმანია**. ამ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

1904 წლის ხელის-მომწერთ, რომელნიც სრულ ფასს შემოიტანენ 1 თებერვლამდე, დაურიგდებათ პრემიად გრაფ ლ. ნ. ტოლსტოის რომანი **„აღდგომა“** („Воскресеніе“) და ალ. სუმბათაშვილის დრამა **„ღალატი“** (Измѣна). ეს უკანასკნელი წიგნი იბეჭდება, ავტორის სურათით, და ხელის მომწერთ იანვრის გასულს დაურიგდებათ.

5 მანეთად ტფილისში და **7** მანეთად ტფილისს გარეშე

დაეთმობათ გაზეთი უპრემიოდ: სოფლის მასწავლებელთ, უფასო სამკითხველოებსა, უმაღლეს სასწავლებელთა მოსწავლეთ და ყველა ხელოსანს. ამათაც შეუძლიანთ ფული ნაწილ-ნაწილად შემოიტანონ.

გაზ. „ივერიის“ **კონტორა** ყოველ-დღე ღია არის—დილის 9 საათიდამ 3 საათამდე და საღამოს 5 საათიდამ 8-მდე; კვირა და უქმე დღეს—12 საათ. 2 საათამდე.

რედაქციას ნება აქვს შეამოკლოს და შეასწოროს დასაბეჭდად გამოგზავნილი წერილი, არ დაბეჭდილ წერილების შესახებ რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას არ კისრულობს.

ხელის-მოწერა მიიღება:

ტფილისში:—„ივერიის“ რედაქცია (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117 და 118) და ქ. შ. წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზია (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურთა ქარვასლა.

ქუთაისში:—წიგნ. გამომც. ამხანაგობის კიოსკში, ბეჟანიშვილის და წერეთლის წიგნის მაღაზიაში.

ბათომში:—ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების სააგენტოში და ჰელიძის წიგნის მაღაზიაში.

საბუნჩაში:—პეტრე მაჭავარიანთან.

შორაპანში:—პართენ ნასიძესთან.

განჯაში:—სოფრომ კანდელაკთან (სადგურზედ).

ბორში:—ანტონ კასრაძესთან.

განცხადება პირველ გვერდზედ—15 კაპ. სტრ., მეოთხეზედ—10 კაპ. მთელი გვერდი გაზეთისა ცალკე მორიგებით.

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція „Иверія“.

რონინაშვილისეული ფოტოგრაფია.

ამ წლის პირველ ღვინობისთვიდამ „ქ. შ. წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოებისა

ფოტოგრაფია

რონინაშვილისეული (ერევნის მოედანი, ხარაზოვის სახლი,

იჯარით ავიღე

და სრულიად ახლად მოვაწყე იარაღით და მომუშავე ხალხით.

ფოტოგრაფია შეასრულებს შემდეგს საქმეებს:

1) გადაიღებს ყოველ ზომის პორტრეტებს;

2) გაადიდებს ძველ თუ ახალ სურათებს;

3) ვინც ერთ დუჟინზე არა ნაკლებ კაბინეტის სურათს შემოუკვეთს ჩემს ფოტოგრაფიას, **მეცამეტე სურათი, მიეცემა მუქთად** აკვარელით (ფერადებით) **საუცხოოდ დახატული.**

4) გადა ამისა, ფოტოგრაფიას მრავლად აქვს გასაყიდად სურათები ძველის ნაშთებისა, ენახებისა და საზოგადო მოღვაწეთა სურათები.

ყოველ შეკვეთილს საქმეს ფოტოგრაფია შეასრულებს თავის დროზე, კარგად და ზომიერ ასად.

მოსწავლეთ ფოტოგრაფია დაიღებს დაკლებულ ფასად.

პატივის ცემით მოიჯარარე მხატვარი **ტარას სიმონიძე**.

№ 42.

სახაზინო თეატრი

ქართული გალა წარმოდგენა.

სამშაბათს, 20 **იანვარს**, 1904 წ.

ქ. ე. მესხისა და ბ-ნ გ. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ

წარმოდგენილი იქნება

პირველად ახალი პიესა

ღალატი

დრამა 5 მოქმ. თხზ. სუმბათაშვილისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი: ე. მესხი, ნ. დავითაშვილი, ს. კარგარეთელისა, ელ. ჩერქეზიშვილისა, ნ ჯავახიშვილი; ბ-ნნი: ალექსი-მესხიშვილი, დ. ბაქრაძე, ვ. გუნია, ნ. გვარაძე, ა. იმედაშვილი, ი. ივანიძე, კ. მესხი, გ. მატარაძე, ს. სვიმონიძე, საფაროვი' კ. ყიფიანი, კ. შათირიშვილი, შალიკაშვილი.

ადგილების ფასი: საოპერო შაბათის წარმოდგენისა.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ბილეთები ისყიდება სახაზინო თეატრის კასაში.

რეჟისორი აკაკი.

ქართული თეატრი

კვირას, 18 იანვარს, 1904 წ.

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ

წარმოდგენილი იქნება

ტასო აბაშიძის საბენეფისოდ

I

ექიმი ავადმყოფი

კომ. 3 მოქმ. მოლიერისა, თარ. ი. მაჩაბლისა

II

ბებიის საღერღელი

ვოდ. 1 მოქმ. თარ. აწყურელისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ტასო აბაშიძე, ნ. გაბუნია-ცაგარელისა, ნ. დავითაშვილი, ნ. ჯავახიშვილი. ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, დ. ბაქრაძე, ნ. გვარაძე, ა. იმედაშვილი, ი. ივანიძე, კ. მესხი, კ. შათირიშვილი, შალიკაშვილი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

რეჟისორი **აკაკი.**

ტფილისის სახაზინო თეატრი

რუსული ოპერა

ანტრეპრიზა მისის უდიდებულესობის სოლისტის ნ. ნ. ფიგნერისა.

კვირას, 18 იანვარს 1904 წ.

გაიმართება ორი სპექტაკლი

დღით, ძალიან დაკლებულის ფასებით

წარმოდგენილი იქნება

რობერტი და ბერტრანი

ბალეტი 3 მოქმედ. პროლოგით.

უფროსი რეჟისორი მ. ნ. ბოგოლიუბოვი.

კაპელმეისტერი ბ-ნი ლევიჩი

დასაწყისი საღამოს $12^1/_2$ საათ.

საღამოთი ს. ფ. სელიუკ-როზნატოვის საბენეფისოდ ნ. ნ. ფიგნერის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

კარმენ

ოპერა 4 მოქმ მუს. ბიზესი.

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი: რენერ-რადინა, სელიუკ-როზნატოვსკაია, სკორუპსკაია, ლელინა; ბ-ნნი: ფიგნერი, გლადკოვი, შმაკოვი, ფედოროვი, ილიუშჩენკო, გრინევი.

უფროსი რეჟისორი მ. ნ. ბოგოლიუბოვი

კაპელმეისტერი ე. დ. ესპოზიტო

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ორშაბათს წარმოდგენა არ იქნება.

გამოვიდა და ისყიდება „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში

ჩემი თავგადასავალი.

აკაკისა

ფასი 1 მანათი.

ექიმი
ვ. დ. ლამბაშიძე

ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს საღამოს 6—7 საათამდე.

ნიკოლოზის ქუჩა, № 46.

კერძო სამკურნალო

ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (Набережная) სახლი აბრამოვისა № 9 მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ვ. ი. ჯიჯინაძე. კბილის სნეულებანი 8 საათიდგან 10 საათამდე.

ლ. ი. კამოევი. საშარდ., ვენერ. და სიფილ 10—11 ს.

ნ. ტ. მულინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულობით შეპყრობილთ. 9—10 ს.

ა. ზ. მალალაშვილი. შინაგ. და ბავშ. 10—11 ს.

ვ. დ. ლამბაშიძე. შინაგ. და ბავშვ. ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 11—12 საათ.

ლ. მ. მონინი. ქალის., საბებ. და ბავშვ. (შემოწმება ძიძისა) ოთხშ., პარასკ. და კვირა 11—12 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგან, ნერვებისა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ექიმი ქალი **მ. ძ. იოსელიანი**—ქალისა და საბებიო 12—I ს. სამშ. ხუთშ. შაბათ.

ბრ. ვ. სობოლევსკი—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

ვ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—კვირაობით 10—12 საათ.

საღამოთი:

ა. ზ. მალალაშვილი. შინაგ. ბავშ. ყვავილის აცრა და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კრაოტით.

(წ.)

46—8 ტელეფონი № 274

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირადღეებს გარდა.

დილაობით:

გ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდე ავადმყოფობანი.

ყ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

მ. გ. ავეტისიანცი. 10—11 საათამდე—კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ვადმყოფობისა.

ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

ძ. ი. ბძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

გ. ა. თარხანოვი. 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანის და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით.

ა. პ. ქარაპეტიანცი. 1—$1^1/_2$ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეგოვი. 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერაპია

გ. ს. ლევი. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბინინა.** 7—7 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

ვ. ა. თარხანოვი. $7^1/_2$—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

გ. ა. ნავასარდიანი. $8^1/_2$—8 ს.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. უკეთებს სახლში და მსურველთ მასსაჟს, აწურის ყვავილს გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის **უფასოდ**; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана*. Тифлисъ противъ памятн. Воронцова.

წლ.

ტფილისი

ძლიერს ველოდებით „ღალატის“ წარმოდგენას. ზეგ, სამშაბათს, 20 იანვარს სახაზინო თეატრში ქართული დრამატიული დასი პირველად წარმოადგენს ამ პიესას. როლები, როგორც გავიგეთ, ასეა განაწილებული: სოლეიმან-ხანს ითამაშებს ვლ. ალ.-მესხიშვილი, ზეინაბ დედოფალს—ეფ. მესხი, ოთარ-ბეგს ვალ. გუნია, ანანიას—კ. ყიფიანი, რუქაიას—ა. კარგარეთლისა, გაიანეს—ნ. დავითიშვილი, ბესოს—კ. მესხი, ერეკლეს—შათირიშვილი, დათოს—სვიმონიძე. დანარჩენი როლები განაწილებულია დასის სხვა წევრთა შორის. ბილეთების ფასი მომატებულია, სადღესასწაულო წარმოდგენის, გალა-სპექტაკლის ფასებია.

მეორედ „ღალატი“ წარმოდგენილ იქმნება ქართულ თეატრში ხუთშაბათს, 22 და მესამედ კვირას, 25 იანვარს.

გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსმა დიმიტრიმ თანამდებობიდგან დაითხოვა გურია-სამეგრელოს საეპარქიო კანცელარიის მდივანი ლეონტი ჩაჩანიძე. მის მაგივრად ამ თანამდებობაზედ დასანიშნავად წარუდგენიათ სუხუმის საეპარქიო კანცელარიის მდივნის თანაშემწე ბ-ნი ავტონომოვი.

საქციონერო საზოგადოება ამ წელს დაასრულებს ფუნიკულერის კეთებას. ფუნიკულერი ივლის მარტო მთაწმინდის გორაზედ, ასე რომ ფუნიკულერამდე ფეხით მოუხდება მისვლა მთაწმინდის გორაზედ წამსვლელს. იმ ადგილს, სადაც მგზავრები უნდა ჩასხდნენ ფუნიკულერში, ამ ჟამად ასწორებენ. აზრად აქვთ, ცხენის რკინის გზა გაიყვანონ ერევნის მოედნიდან ფუნიკულერის სადგურამდე და ამით მცხოვრებთ მგზავრობა გაუადვილონ. საქციონერო საზოგადოებამ კიდეც სთხოვა ბელგიის უსახელო საზოგადოებას, ცხენის რკინის გზა გაიყვანე ერევნის მოედნიდგან ფუნიკულერის სადგურამდეო. ბელგიის უსახელო საზოგადოებამ მოლაპარაკება დაიწყო ზოგიერთ სახლის პატრონებთან, რომლების ადგილზედაც უნდა გაიაროს ერევნის მოედნიდგან ცხენის რკინის გზამ.

ორშაბათს, 19 იანვარს, ტფილისის ქალაქის საბჭოს ქალაქის თავი განსახილველად წარუდგენს საკითხს შუა ბაზრის გაფართოვების შესახებ. შუა ბაზარი უნდა გააფართოვონ ბელგიის უსახელო საზოგადოების ხარჯით. აზრად აქვთ, შეისყიდონ რამდენისამე კერძო კაცის მამულები.

დღეს, 18 იანვარს, მდაბიო მოქალაქეთა გამგეობის სადგომში დანიშნულია იმ კომისიის კრება, რომელმაც უნდა განიხილოს გამგეობის მოქმედების ანგარიში 1902 წლის განმავლობაში.

მიწად-მოქმედების დეპარტამენტმა სთხოვა კავკასიის საიმპერატორო სასოფლო სამეურნეო საზოგადოებას, დაგვეხმარეთ იმათ წინააღმდეგ ბრძოლაში, რომელნიც მცხოვრებთა შორის უვარგისს თესლეულობას ასაღებენო.

ქალაქის პირველ ღამის თავშესაფარის ზედამხედველმა ქალაქის გამგეობას წარუდგინა ანგარიში ამ თავშესაფარისა გასულის წლის დეკემბრისა. ანგარიშიდან სჩანს, რომ სულ ამ თვის განმავლობაში თავშესაფარში მისულა 3,810 ადამიანი: აქედან 3,666 კაცი, 144 ქალი.

ტფილისში დაბრუნდნენ ტფილისის რკინის გზის სატეხნიკო სასწავლებლის ინსპექტორი ა. ბაბოვი და სახელოსნო სასწავლებლის დირექტორი ვ. ი. პობედიმოვი, რომელნიც პეტერბურგში იყვნენ წასულნი პროფესიონალურ და სატეხნიკო განათლების მოღვაწეთა კრებაზედ მონაწილეობის მისაღებად.

დღეს, 18 იანვარს, ნაშუადღევის პირველ საათზედ, დანიშნულია საზოგადო კრება ტფილისის კურსების ლექტორებისა.

ამას წინად ქალაქის გამგეობაში აღიძრა საკითხი საადრესო სტოლის პოლიციიდგან ქალაქის გამგებლობაში გადასვლისა. ეს საკითხი ვერც ავად და ვერც კარგად ვერ გადასწყვიტა ქალაქის გამგეობამ. ქალაქის საბჭოს ხმოსანმა ნ. პ. კოქჩაევმა ხელ-ახლა აღძრა ეს საკითხი ქალაქის გამგეობაში. ქალაქის გამგეობამ დაადგინა, შეეკითხოს ტფილისის პოლიცმეისტერს, რა მდგომარეობაშია ამ ჟამად საადრესო სტოლის საქმეები და ან რა შემოსავალი ჰქონდა პირველ დაარსების დროიდგან აქამომდეო.

ჩვენ შევიტყეთ, რომ საქართველოს სინოდის კანტორის სტოლონაჩალნიკი ბ. ვ. კოლმაკოვი სამსახურს დასთხოვნია და მის ადგილზე დროებით კ. ხახანაშვილი დაუნიშნიათ.

მკითხველთ უწყიან, რომ ტფილისის ქალაქის გამგეობა უჩივის ქ-ნ ლორთქიფანიძეს, ქალაქის მიწა მიგითვისებია დიდუბეშიო. ამ საქმის დამთავრებას არა ეშველა-რა; ახლა სხვა მემამულეებმა განაცხადეს, ქ-ნმა ლორთქიფანიძემ ქალაქის ადგილი-კი არ მიითვისა, არამედ ჩვენიო. ასე რომ ამ ადგილზე თავიანთ უფლებას აცხადებენ: ქალაქის გამგეობა, ქ-ნი ლორთქიფანიძე და რამდენიმე სხვა მემამულენი. ქალაქის გამგეობამ დაავალა თავისს იურისკონსულტს, დააჩქარე საჩივრის შეტანა ქ-ნ ლორთქიფანიძეზეო.

ბიბლიოთეკა

ამას წინად ტფილისის ქალაქის გამგეობამ აირჩია საგანგებო კომისია და დაავალა შემუშავება იმ პირობათა, რომლითაც იჯარით უნდა გაიცეს ქალაქის ადგილები. ამ კომისიის წევრად არჩეულ იქმნა, სხვათა შორის, ხმოსანი მირზოევი, რომელსაც 20 თეთრი კენჭი ამოუვიდა, 10 შავი. ხმოსანმა მირზოევმა ახლა განცხადება შეიტანა ქალაქის გამგეობაში, უარს ვამბობ ამ კომისიის წევრობაზე, რადგან ათი ხმოსანი წინააღმდეგი იყო, რომ მე ამ კომისიაში მონაწილეობა მიმეღო. აქედგან სჩანს, ისინი ჩემს მოღვაწეობას ეჭვის თვალით უცქერიანო.

15 იანვარს ტფილისის ქალაქის გამგეობამ განიხილა და მოიწონა საგანგებოდ არჩეულ კომისიის მიერ შედგენილი პროექტი ტფილისის ქალაქის გამგეობაში მუშაობის გაუმჯობესობის შესახებ. კომისია ამ პროექტის შემუშავებას რამდენიმე წელიწადი მოუნდა. ამ პროექტით, შესამჩნევი ცვლილება იქმნება შეტანილი ქალაქის გამგეობაში. მუშაობა უფრო ადვილი და ასატანი იქმნება და ამას გარდა ჯამაგირები გაცილებით მეტი ექმნებათ მოსამსახურეებს, ვიდრე წინად. ახლა ინტელიგენცია გაურბის ქალაქის სამსახურს, რადგან მუდმივად არ მიაჩნია და არც პენსია ეძლევა დიდიხნის სამსახურის შემდეგაო. ამ პროექტს ჩქარა ტფილისის ქალაქის გამგეობა განიხილავს.

აი საუკეთესო მაგალითი ტფილისის მეეზოვეთა მოღვაწეობისა. მთაწმინდაში ორი მეეზოვე 14 იანვარს, ღამით, ქართულ მეპურეებთან შევიდნენ, ვითომ პურის სასყიდლად. მეეზოვენი დიდ ხანს ისხდნენ და ლაპარაკობდნენ მეპურეებთან. მათის წასვლის შემდეგ მეპურეებმა ნახეს, რომ კასის კლიტე აგლეჯილი იყო და აღარც ფული დახვდათ. კასაში მთელის დღის გაყიდულ პურის ფული 5—6 მანეთი იყო. მეორე დღეს ეჭვით დააპატიმრეს ორთავე მეეზოვე და გამოძიების შემდეგ აღმოჩნდა, რომ მათ სხვა დროსაც ბევრჯელ უქურდნიათ. მათი საქმე ახლა გამომძიებელთან არის.

მცირე შენიშვნა

(წერილი რედაქციის მიმართ).

„ივერიის“ მესამე ნომერში იყო მოთავსებული წერილი გვერ—ძისა სახელად «კუ[illegible]ხა», რომელშიაც ერთი ცნობა არ შეეფერება სიმართლეს და ამიტომ საჭიროდ ვთვლით მის შესწორებას. ბ-ნს მ. ჯანაშვილს თავის კრებულში «უკვდავთა დაღადებაა» დაბეჭდილი აქვს თავისივე თარგმანი კაზლოვის ლექსის Вечерній звонъ, вечерній звонъ. ეს ლექსი პროფ. კადინოვსკის მოწმობით თურმე გიორგი მთაწმინდელის ლექსის თარგმანი ყოფილა. ამ პროფესორის ცნობამ ჯანაშვილს გადაათარგმნინა და დაბეჭდვინა თავის «უკვდავთა დაღადებაში» გიორგი მთაწმინდელის დასახასიათებლად, მაგრამ ის-კი არ უთქვამს, რომ ეს ლექსი ნამდვილი გ. მთაწმინდელის ტექსტიაო. ბ-ნს გვერ—ძეს კი, ცხადია, გულმავიწყეობით თარგმანი ჯანაშვილისა ტექსტად მიუღია და „ივერიამ“ გამოაცხადა, ვითომ ჩვენ დღეს გვქონდეს თვით გიორგი მთაწმინდელის ტექსტი.

კ.

ჩვენებური ამბები

დ. სამტრედია. არ იქნა და არა, კიდევ ვერ გამოერკვა აქაური ინტელიგენცია სალათას ძილისაგან; კიდევ ზანტად მიჩანჩალებენ, თუმცა დრო კია, რომ ამათაც მიიხედ-მოიხედონ გარშემო, გამოიძრონ ყურიდან ძველი ბამბა, რადგანაც ცხოვრების ძველი ვითარები ნელ-ნელა იცვლება და ადგილს უთმობს ახალს... ეს დღეს თითქმის ყველა თვალხილულთათვის ცხადზედ უცხადესია. მაგრამ აქაური ინტელიგენცია ისე შესჩვევია არსებულ ვითარებას, რომ ვერც ისე ადვილად შეელევა, როგორც ზოგიერთ ჩემისთანა უბრალო მომაკვდავს ჰგონია. ამათ გულს ხალხის კულტურულად და ეკონომიურად წინსვლა-კი არ ახარებს, არამედ ამათ სატრფიალო და სათაყვანებელ საგნებს შეადგენს: არშიყობა, ბანქო-ბილიარდის თამაში, ცეკვა-ხტუნაობა, გიტარის დაკვრა-დამღერა და რკინის გზის სადგურზე «воздушный поцѣлуй»-ს გზავნა ფრანკიაშვილის ქალებთან, რომელნიც ყოველ დღე თავიანთი მანჭვა-გრეხით პირველ კლასის ბუფეტში აოცებენ ადამიანს.

აქაური ინტელიგენცია რომ უსიცოცხლოა და პროგრესს ჩამორჩენილი, ამას არ უნდა არც ფიცი, არც მტკიცი, და რომ უფრო ნათლად დავანახოთ თავიანთი ქარაფშუტობა ჩვენს ბურჟუა—ინტელიგენტებს, ამისთვის საჭიროა მოვიყვანო მცირე მაგალითი, რომელსაც, ჩემის აზრით, ვერც ეს ვაჟბატონები უარ-ჰყოფენ. აი, მაგალითად: ამას წინად ქუთათურმა და ადგილობრივმა სცენის მოყვარულებმა გამართეს იაფ-ფასიანი წარმოდგენა, წარმოადგინეს: „არსენა“, დრამა სამ. მოქ. აი ყაზბეგისა; წარმოდგენას ჩვენი წყალ წაღებული ინტელიგენციის წყალობით ხალხი ძლიერ მცირე დაესწრო, ამიტომ რომ არ უკრავდა მუსიკა და, რასაკვირველია, არც „ტანცაობა“ შეიძლებოდა, რადგანაც იატაკი გაულაქავი იყო, ამისთვის არ ისურვა ჩვენმა ინტელიგენციამ თავის „დამებით“ თეატრში მობრძანება. ეს არაფერი, ხალხშიაც გაავრცელეს ცრუ ხმები, ვითომ წარმოდგენა უმუსიკოთ შეუძლებელიაო და ხელის შეწყობისა და დახმარების მაგიერ პირ-იქით გული აუცრუეს ხალხს, რის გამო წარმოდგენის მოთავეს ხარჯების გასწორების მაგიერ 30 მანეთი ვალი დაედო. აი, ხალხის მეთაურებ-ც ასეთი უნდა!,, აფერუმ სამტრედიელო ინტელიგენციავ! ბარაქალა თქვენს ბიჭობას!? არ დაგივიწყებთ თქვენ ისტორია ხალხისა, ამნაირ გულშემატკივრობისთვის?..

ამ ბოლოს დროს ჩვენსკენ ზამთარი უფრო და უფრო ძლიერდება, რაც დრო გადის, იმდენად ულმობელი და მკაცრი ხდება, ყოველ დღე წვიმს და თოვლს, რის გამო მოიკაკვა წელში ისედაც გრკალებრ მოკაკვული ხალხის უმრავლესობა, მხოლოდ ვერ აწუხებს ზამთარი აქაურ დიდიან ვაჭრებს, რომელნიც გუნდრუკს უკმევენ სუსხიან ზამთარს და სულითა და გულით ნატრობენ, რომ ცოტა კიდევ გაგრძელდეს... ჩვენ-კი, რადგანაც დარწმუნებული ვართ, ზამთარ სულს უხუთავს დაჩაგრულ კაცობრიობას, ამისთვის გვეზიზღება ის და მის მაგიერ სიხარულით ველოდებით გაზაფხულს.

რიონისპირელი

—

ს. ჯიმითი (სიღნაღის მაზრა). «სოფელი ვნახე უძაღლო, შიგ გავიარე უჯოხოთ», სწორედ ამ საცოდავ სოფელზე ითქმება ეს ანდაზა. ჩვენს კურთხეულ მხარეში რომ სოფლად საარაკო სიღარიბე და უმეცრება არსებობს, ეს ყველამ კარგად იცის, ვისაც ჩვენებური სოფლები უნახავს, მაგრამ ხსენებულ სოფელში რაც სიღარიბე და უმეცრებაა, ეს ყოველსავე აღემატება.

მე მქონდა შემთხვევა მენახა ახალწლის დღეს ეკლესიაში წირვაზე მოსული ქალნი, კაცნი და უმაწვილნი. უნდა გამოგიტყდე, მკითხველო, იმათმა სანახაობამ გული მწარედ დამითუთქა: პატარა, ზოგი ექვსის წლის ყრმანი, საცოდავ ჭუჭყიან ძონძებში გამოხვეულნი, ფეხშიშველნი ამ ზამთრის სუსხიან სიცივეში მშობლებს მოეყვანათ ეკლესიაში საზიარებლად. საცოდავი უმაწვილები ეკლესიის ქვის ცივს ფილაქანზე დგანან, რომ ვერ სძლებდნენ ფეხზე დგომას, ხან ერთ ფეხს აიკანკალებდნენ, ხან მეორეს და საცოდავად კანკალებდნენ. თვითონ მშობლებიც დიდად არ განსხვავდებოდნენ ჩაცმულობით თავიანთ შვილებისაგან. კაცები ძველის დაგლეჯილის რუსის ფარაჯით ან უსახელოდ და უშნოდ შეკერილის ტყავის სინაბარით იყვნენ ამ ბრწყინვალე დღესასწაულს ეკლესიაში.

ცხადია, რომ ხალხს საგარეო და საშინაო ტანისამოსი ერთი და იგივე აქვს: ეს მხოლოდ უკიდურესმა სიღარიბემ იცის. ამისთანა სოფელს, რა თქმა უნდა, შემწეობა, ყურადღება და პატრონობა უნდა, მაგრამ, სამწუხაროდ, არც ერთი, არც მეორე და არც მესამე არავისგან არ ჰღირსებია.— მინებებული ღვთის სინებარს, ყველასაგან მივიწყებული და მიტოვებული: თითქო მისთვის ღმერთს არც სამართალი გაეჩინოს, არც შველა.

სოფელი რომ შინაურისა და გარეულის ქურდებისაგან მეტის-მეტად შეწუხებულა, ისევ თავისს ძალ-ღონისათვის მიუმართავს: ამოურჩევია თორმეტი სანდოიანი კაცი და მიუნდვია მათთვის პატრონობა სოფლისა და გასამართლება დამნაშავე და მავნე კაცებისა. მაგრამ ამ ამორჩეულ კაცებისათვის ქურდებს და ავ კაცებს სხვებზე უარესი დღე დაუყენებიათ: ერთს თორმეტთაგანს, ზაქარია მიშნიაშვილს, რომელიც სხვებზე უფრო ცხარედ ჰკიცხავდა ქურდ-ავკაცებს, დაუწვეს სამი დიდი ურემი თივა, რომელიც სამ თუმანზე ნაკლებად არა ჰღირდა; ეს არ აკმარეს ამ საწყალ მოხუცებულ მარტო ხელ კაცს მოჰპარეს უკანასკნელი სარჩო ცხოვრებისა: სამოცდა ჩვიდმეტი ცხვარი და გაუდგნენ ტყეს, სადაც ზოგი დახოცეს და შესჭამეს, ზოგი უპატრონოდ ტყეში მიატოვეს და მგლებს დააჭმევინეს; მერე შემოუთვლიან: შენი ცხვარი ამა და ამ ადგილას არის ცოცხალი გადარჩენილი, წადი, მოძებნეო. როცა ეს უბედური ტყიდან ხელ-ცარიელი დაბრუნდა სახლში, ამ დროს ერთმა ნასოფლარებულმა მოურიდებლად თოფი დასცა და გაიქცა. გამოკიდა მოხუცებული, სოფლიდან დაჭრილი კაცი, მაგრამ რას დაეწეოდა. უბედურს ტყვია დღესაც ტანში აქვს გამოუღებელი.

ამბობენ, რომ იმავე ღვთის წყრისაგან დაწყევლილმა დასცა თოფი ამ სოფელში მეხუთე ერთის ვაჭრის წყალობას სოსიკოლიძეს, რომელიც სავაჭროდ მიდიოდა მეორე სოფელს, ამასაც სიკვდილი გამოუღებელი აქვს მკერდსა და კისერში.

ეს ნასაღლეთარი რაინდი ამ ოინებით რომ დაკმაყოფილდა, სოფლის წყაროდან საღამო ხანზე მოიტაცა ერთის ღარიბის უპატრონო ქვრივის თორმეტი წლის ქალი და მგლისავით გააქანა ტყისაკენ. ასტყდა სოფლად ერთი ყვირილი, ტირილი და ყრიამული, გეგონებოდათ დიდი ჭირი დაეცა სოფელსაო. დედას გული შეუღონდა, ეს ამბავი რომ გაიგონა. გამოუდგნენ კაცები, მეძებრებს ბიჭები და ცოცხალ-მკვდარი გოგო გამოგლიჯეს მხეცს ხელიდან.

ამისთანა დაუჯერებელი ამბავი ჩვენს ქვეყანაში ვგონებ ლეკიანობის დროსაც ძვარად ხდებოდა, თორემ ეხლა, როცა ყურს უკან მიგდებული გვაქვს მრავალ ჩაგრებით და გამომძლავრებული, რატომ უნდა ხდებოდეს.

მერე რა? იქნება გეგონოთ, ეს ოთხი რაინდი სოფელს მოაშორეს? სრულებითაც არა. ისევ ისე უშიშრად და თამამად დაიარებიან სოფლად, როგორც წინად, თითქო სოფლისათვის ბუზიც არ აუფრენიათ!

სოფლის უპატრონობის დასამტკიცებლად კიდევ მოგახსენებთ მაგალითებს. აგერ მეორე თორმეტთაგანს, მიხა ანდრიას ძეს ფარეზაშვილს ხუთმეტი ურემი თივა დაუწვეს იმ დროს, როცა ურემი თივა ათ მანეთად ღირდა, მაგრამ მტერი ვერ აღმოაჩინეს. მესამე თორმეტთაგანს, განკა მიშნიაშვილს, სასოფლო გზაზე მომავალს მინდვრიდან დახვდნენ და ჯოხის ცემით თავი გაუხეთქეს. სახიკო გეთიაშვილს ცხენი მოჰპარეს და სხვა სოფლის გზას გაუყენეს. პატრონი კვალ-და-კვალ გამოუდგა ქურდს, იპოვნა ცხენიც, ქურდიც, მაგრამ მინაურებულად მოაშორდნენ. მღვდელ მიხეილ შავლიაშვილს მოჰპარეს ექვსი ნიშა ღვინო. გიგა ტურაშვილს ჩიჟ ნახევრიანი ზედაშე მარანში მოწყდან ამოიღეს, ღვინო წაიღეს და ქილიც იქვე გაატეხეს. ამის ძმას დათიკო ტურაშვილს ბეღლიდან მოჰპარეს ერთი ფუთი საშობაოთ დაკლულის ღორისა და ორი გოდეული, გიორგი იორდანეს ძეს თევდორაშვილს ერთი ქილა ღვინო მოჰპარეს მარნიდგან. მიხა ზაქარიას ძეს გარაზანელს ხუთი ცხენი მოჰპარეს. ოთხი ცხენი მოხერხებულის შემწეობით და ფულის დახარჯვით იპოვა, მეხუთის პოვნასაც ჰპირდებიან, თუ ფული ცოტა მეტი გაიმეტა, რადგან ეს მეხუთე ცხენი უფრო კარგი ყოფილა.

ისაკო დავითის ძეს დვინაშვილს ახალწლის მესამე დღეს მარნიდგან, რომელსაც ორი კლიტე ედვა, სამი ჩაფი ღვინო მოჰპარეს თურმე და ეზოვდან ორი მანეთის მაგიერ, გვარიშვილით ა მოგინახავთო, მაგრამ საწყალ პატრონს ეშინიან, ვაი თუ ფული დავკარგო და ცხენიც ვერ ვიპოვოო.

თომა თევდორეს ძეს მიშაშვილს ერთი ცხენი მოჰპარეს თურმე და მოხერხებული სათუმნის ითხოვს გასამრჯელოს.

ანდრია მაზანიშვილს ორი ცხენი მოჰპარეს, აქვე მიიტანეს, მაგრამ ეშინიანთ, ქურდი ვერ დაუსახელებიათ.

ამავე სოფლის მღვდელს დავით სართანიას ძეს, მზე ჩასული არ იყო, რომ ეზოდან ცხენი მოჰპარეს. სად შემიძლიან ყველა ავკაცობა ჩამოვთვალო, რაც აქ ხდება. მაშინ მთელი „ივერია“ ამას მოუნდებოდა. ვგონებ, კმარა დასახელებული ავკაცობაც.

საკვირველი და სავალალო მარტო ის კი არ არის, რომ ამ სოფელში ქურდობა გახში-

---

ფელეტონი

შურდული

(საკვირაო გაზეთი)

წელიწადი მეორე

№ 3.

ტფილისი, 18 იანვარი.

ნათქვამია: „ავადმყოფმა პირი მალა, მაგრამ პირმა თავი არ დამალაო“. ჩვენ, ქართველებს, ამ ბოლოს ჟამს, პირის მალვა სენად დაგვჩემდა. ნუ ვიტყვით იმას, რაც ჩვენი სიმახინჯეა, დუხჭირობააო, მტერი გაიგებს და კარგი არ არისო. განა ჩვენმა მტერმა ჩვენი სიმახინჯე, დუხჭირობა, ჩვენი სულის ნასობა არ იცის?!. იცის, კარგად იცის, და ხელს გვიმართავს, ხმა არ ამოვიღოთ, მოძმეთ არ დავანახვოთ ეს სინასე ჩვენის სულისა, გულის-ხმაში არ ჩავაკდოთ, ძილიდან არ გამოვარკვიოთ; მტერი თავზე ხელს გვისვამს, გვილოლიავებს, ტკბილად გვაძინებს. ამავე დროს ჩვენი გულშემატკივარნი ღაღადებენ: ჰა, ხმა, კრინტი, კრინტი!!. ღმერთი არ გაგიწყრეს, არ გაჰკიცხო ის, რაც გასაკიცხია.

შინ თუ გარედ ტკბილი ქართული აღარ ისმის, გული გაცივდა, გასალ-კლდევდა: აღარ ატოკებს ტკბილნი ხმანი მშობლიურის „ნანინასი“, აღარ ათბობს მშობლიური ღიღინი. გადავეჩვიენით ნამდვილ ქართულ წერას, ნამდვილ ქართულის გაგება-შესმენას, ყველა სწერს და ლაპარაკობს რაღაც „ბაზაზხანურის“ ენითა.

დაკნინდა ჩვენი ახალთაობა სულითაც და ხორცითაც, და დაკნინდა იმიტომ, რომ ქართული ოჯახი მოისპო, ქართველი დედა აღარ გვყავს, ქართული სული აღარ ტრიალებს. აკვანში დედა ბავშვს ძუძუთი შხამს აწოვებს და ამიტომ მშვენიერ შავარდენის მაგივრად, რაღაც დოყლაპია იზრდება.

აი, ეს აღნიშნა ერთმა ჩვენმა მწერალმა, და ცოდვად ჩაუთვლიეს: მტერს იამება, ნუ ამხელთ ამისთანა ამბებსაო. მტერმა, როგორც ვსთქვით, იცის ეს ჩვენი დაქვეითება, ეს ჩვენი დაკნინება, ეს ჩვენი სულის ნასობა!.. დამალვა საჭირო არ არის. მაშ მხილება და მხილება! კიცხვა და კიცხვა, რაც-კი საკიცხავია!..

ყველამ გულზე დაიკრიოს დიდებული სიტყვები პოეტისა:

„რა ენა წახდეს,
ერიც დაეცეს..,
წაეცხოს ჩირქი ტაძარსა წმიდას“!..

—

აღსარება.

კურსი უკვე დავასრულე,
მსურს დავიწყო ბოროტთ გმობა,
სიმართლისთვის გავიტანჯო...
მაგრამ მიშლის არშიყობა!

—

ვიფიქრე, წიგნებს ვკითხავ,
გამიფაქიზდება გრძნობა...
მაგრამ ველარ შევასრულე,
ვამჯობინე არშიყობა!..

—

სამკითხველოში შევედი,
შევასრულე „ფორმალობა“...
გაზეთის კითხვასა განა
არ სჯობია არშიყობა?!.

—

დღეს კლუბში გაიმართება
„ვეჩერი“ და ტანცაობა,
და დასასრულ „ტანცი-მანცის“
გაიმართვის არშიყობა!..

—

შენ რომ გასაჭირში იყო,
მაშინ უნდა აბა ძმობა!
არა, მაგას არ ვიკადრებ,
მირჩევნია არშიყობა!..

—

ღარიბი ვიყავ, სწავლისთვის
აღმიჩინეს შემწეობა,
და დიპლომი რომ ავიღე,
წამსვე ვიწყე არშიყობა!..

—

რედაქტორსაც გავაცანი
ჩემი თავი, ვინაობა,
ორი სტატია დავწერე..,
შემდეგ... ისევ არშიყობა...

—

ფუფუნებაში აღზრდილსა
არ შემშვენის მუშაობა,
ჩემი მოვალეობაა—
„კავალრობა“, არშიყობა!

—

თუმც ჯიბე დაცალიერდა
და მემჩნევა უფულობა,
მაგრამ მომავლის იმედით
კიდევ მიყვარს არშიყობა!..

—

თუ გაზეთში გამომლანძღავენ
დამიწყებენ კიცხვა-მტრობას,
მაშინ არშიყობას დავთმობ
შევუდგები ჯაშუშობას!

დ. ელპიტიშვილი.

ტფილისი

— ჩვენ შევიტყეთ, რომ ქართულ დრამატიულ საზოგადოების კომიტეტი ამ იანვარში წარმოადგენს თ. ა. სუმბათაშვილის დრამას „ღალატი“; რეპეტიციები უკვე დაუწყიათ ოთხი თარგმანის საშუალებით: კ. მესხისა, გრ. ყიფშიძისა, ივ. მარქარიანისა და ივ. ახალკაცისა (ამათაც გადუთარგმნიათო, ასე მოგახსენებენ). ზეინაბის და ბესოს როლს თამაშობენ კ. მესხის თარგმნით, ოთარ-ბეგს, სულეიმანს და საბა-ბერს—გრ. ყიფშიძისა, დათოს, ირაკლის და ანანიას — მარქარიანის თარგმანითაო და დანარჩენს ახალკაცის თარგმანით. კაი საცქერი იქნება, თქვენ ნუ მომიკვდეთ, ეს ბაბილონის ენათა შერევნა.

— ტფილისის ქალაქის გამგეობამ გამოუცხადა ღორის ხორცით მოვაჭრე ყასბებს: თქვე სულელებო, ვინც რა უნდა სთქვას, წისქვილმა-კი ფქვასო; რას უგდებთ ყურს მითქმა-მოთქმას, თქვენ დაჰკალით და ჰყიდით ისე, როგორც ხორცს მოჰყავთ. ვისაც ღორის ხორცის გემო ერთხელ გაუგია, განა არ იყიდის, თუნდაც გირვანქა აბაზიც გახადოთ?!. ჩვენ ხმას არ ამოვიღებთ, მხოლოდ ამას-კი ნუ გვიზამთ, ქაღალდზე მაინც არ აღვნიშნოთ თქვენი საქციელი, რომ შემდეგმა თაობამ არ დაგვგმოსო.

— ქალაქის გამგეობა 1910 წელში ქუჩების მოსაკირწყლავ ქვების გამოფენას მორთამს, მინამდე-კი, ე. ი. ამ ექვსის წლის განმავლობაში, იქნება სულ კისრები დაიმტვრიონ და ქუჩების დაკეთება აღარ დაგვჭირდესო.

— ამბობენ, ბ. ნე—ძე მთვარეზე ასულა საქათმეების ასაშენებლადაო.

— ამბობენ, ერთს ქალაქში ყველა დამუნჯებულა. ზოგს ენებიც დაუჭრიათ, ოღონდ დედა-ენაზე ნუ გვალაპარაკებთო.

— ამბობენ, ნიკიტინის ცირკში ბ-ნი დუროვი ამ მოკლე დროში მუნჯურის გაკვეთილებს გამართავსო. ბილეთები უკვე დაუკვეთიათ.

—

მოცლილის კაცის დღიური

3

8—18 იანვარი.

სული მიწუხდება, სულის ამოსუნთქვას გზა აღარა აქვს; რეტი მესხმის, თვალები მიჰრიალებს; სიარულის დროს თითქო გვერდებში რაღაც მარწუხებს გიჭერენო, თითქო თავზე რაღაც გაწვება და სურს ქვესკნელში გაგაძვრინოს. მთელი ჰაერი გაჰკნილი თუა მავნე სულებითა და აი ესენი თუ აწუხებენ ადამიანსა, აი სწორედ ესენი თუ არიან სულის შემხუთავნი, ვფიქრობდი მე და ძლივ მივლასლასებდი.

მივდივარ და აი ისე დავმძიმდი, რომ ალექსანდრეს ბაღის ახავალთან ლამის სული ამომივიდეს.. ამ დროს ერთი საოცრად გადვიხარხარე... ხა, ხა, ხა! ეხლაც სიცილს ვერ ვიკავებ!.. აი მოდის ერთი ახალგაზდა ქართველი; ბიჭი, არა უშავსრა, კარგი შეღებილი ტანისა, ჩოხაშია გამოკანკლული, თავზე დიდი შავი ცხვარი ადევს, პირი სუფთად აქვს მოპარსული და მარჯვენა ლოყაზე ისეთი ხალი აქვს, ისეთი ხალი, როგორც გარეული ტახის ეშვი; ახლა არ იტყვით, რანაირად აქვს გამწკეპტებული და დაგრეხილი? სწორედ ბუზი აემბის ზედა. წელზე შავი ქამარი, შიგ ჩაწყობილი ხელები. მოტლაკუნებდა დაღმა და უზრუნველად დაიმღეროდა „ბალაბალასა“.

— ვინ არის ეს ყმაწვილი, თუ იცით, შევეკითხე ზემოდამ მომავალს და თვითონ სიცილს ვერ ვიმაგრებდი.

— ჯაშუში იქნება, „უექველია“, ჩამოფუჩუნა ყურში გამომვლელმა და ჩაიარა. სიცილი ტუჩზე შემახმა...—

ავედი პროსპექტზე... ვიყიდე „ახალი მიმოხილვა“; მიამა, ღვთის წინაშე, მისი გამოსვლა; გადავშინჯე, ნომერი სამსეთ, ნომერი ჰაერში შევათამაშე ისე, თითქო სწონავსო, მძიმედ მეჩვენა, აზრებით დატვირთულია მეთქი, ვიფიქრე...

არც მოვტყუვდი. აი ვკითხულობ ერთ ცნობას: არდაგნის ოლქში ქვევრით წითელი ღვინო უპოვნიათ. გასაოცარი ამბავია, რასაკვირველია! არდაგნის ოლქში აგერ რამდენიმე საუკუნეა ღვინო აღარ იხმარება; გათათრებული ქართველობა, ისლამის ზედგავლენით, ღვინოს აღარ ე[illegible]ყობა. ამიტომ გაზეთ „კავკაზ“-ში ნათქვამი იყო: „ცხადია, უნდა იმ დროიდგან დარჩენილიყოს, როდესაც ეს მიწა-წყალი საქართველოს სამფლობელოს შეადგენდა“. „ახალ მიმოხილვა“-საც მოჰყავს ეს ახირებული ამბავი, მაგრამ ამბის შუა-წელი არ მოსწონებია, როგორ თუ საქართველოს აქებენო, რა საქართველო, რის საქართველო, რომელი კუთხე ქვეყნისაო, და ამიტომ ეს შუა-წელი ამოუგლეჯია... აი, ძმანო თუმანიანცებო!.

დიაღ, ძმათა თუმანიანცებს ჩვენი ძველი დიდება «ჭირივით ეჯავრებათ“, როგორც კვალ-დაბნეულ „კვალღლებსა“, და აწმყო და მომავალი ჩვენი რომ „გველივით ეზიზღებოდეთ, ამის შემდეგ,

რებულა, რაიცა ასე ხშირი არაოდეს არა ყოფილა; სამწუხარო ის არის, რომ ვერც ერთ ქურდს ვერ აღმოუჩენიათ და ვერც ერთი ავი კაცი ვერ დაუსჯიათ. იქნება იფიქროთ, რომ მათი აღმოჩენა ძნელი იყოს? სრულებითაც არა: იმათ ბევრი იცნობს, ბევრს შეუძლიან კიდეც დაასახელოს, მაგრამ ვერავინ ვერ ჰბედავს მათ დასახელებას, რადგანემინიან, რომ ქურდი დაუსჯელი დარჩება და შემდეგ, ვინც ის დაასახელა და გასცა, იმას შავს დღეს დააყენებს: ან სახლს დაუწვავს, ან ცხენსა და ხარ-კამეჩს მოჰპარავს, ან სადმე ჩასაფრებული თოფს ესვრის და სულს გააფრთხობინებს. აი ამის გამო დიდი და პატარა გაჩუმებულა და ხმა ვეღარ ამოუღია. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ენერგიული ბოქაული და გამომძიებელი ადვილად მოახერხებენ ამ ქურდების და ავი კაცების აღმოჩენას და მით დაიხსნიან სოფელს სრულის განადგურებისა და გაქრობისაგან. იმედი გვაქონია, რომ ასე მომხდარიყოს.

ხიარელი.

რუსეთი

სახაზინო რკინის გზის სადგურზე მოსკოვში 10 იანვარს რამდენიმე კაცი და ქალი მისულა რაღაც მათ სახელზედ მისულ ნივთების მისაღებად. მათ შორის იყო ოპერის არტისტი ქალი პეტროვა, საიმპერატორო თეატრების არტისტი ქალი ზბუევა; მოსკოვის 1 გიმნაზიის დირექტორი გობზი და სხვ. პეტროვას უნდა რაღაც ფარჩეულობა მიეღო, გობზის—წიგნები, გარდაცვლილ მინისტრის ბოგოლეპოვის ქვრივის გამოგზავნილი პეტერბურგიდამ, და სხვებს რაღაც სხვა ნივთები. ყველას თურმე ყალბი უწყება ჰქონიათ. გამოძიებით აღმოჩნდა, რომ ვიღაც ახალგაზდა კაცს დაუვლია, უწყებები დაურიგებია, რამდენიმე ასი მანათი დაუცინცლია და მიმალულა.

—

შორეულ ციმბირიდან

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

ბარგუზინის და შუა ვითიმის რაიონის ოქროს მადნებში ფულების საშოვნელად 1902 წელს წამოსულან ოზურგეთის მაზრიდან ყარამან ღლონტი, ცხინვალის ხეობის მცხოვრები ივანე ბლიაძე და ტფილისელი გეურქა თოფჩიშვილი. ეს საბრალო გარდმოხვეწილნი 9-ს აგვისტოს 1903 წლისას მგზავრმა ხალხმა ბილიკის გადაღმით ფოთლებ წაფარებულები იპოვეს; ეტყობოდათ, რომ თითქმის ერთი თვის წინათ იყვნენ დახოცილები. როგორც ამბობენ, ამათი მკვლელი უნდა იყოს ერთი ვინმე ჩაჩანი, რომელიც ვითომ ღლონტის მტერი უნდა ყოფილიყო ადრიდგანვე, ეს ჩაჩანი აქ თურმე მთავრობისაგან თავს იფარავდა, მოუსწვრია ამ სამი კაცისათვის ძილის დროს, ან პურის ჭამად მსხდომარეებისთვის, და დაუხოცნია.

რასაკვირველია, რაკი გარდმოხვეწილ ხალხის მკვლელებს და შემაწრობლებს აქ, ამ შორეულ ციმბირში, პოლიცია გულ-გრილად ეკიდება, ამ საბრალო ადამიანების სიკვდილმა შეუმჩნევლად ჩაიარა.

ამასთანავე ვაუწყებ ჭირისუფლებს, დაბა სურამის მცხოვრები სვიმონ, იგივე სინკო, სამხარაძის შემდეგს სამწუხარო ამბავსა: შუა ვითიმის ოქროს მადნიდამ სამხარაძე მოდიოდა აგვისტოს 22 1903 წ. რამდენიმე მგზავრი ამხანაგებით და მოჰქონდა თან ექვსი გირ. ოქრო, იმის თანამგზავრს რუსს პავლოვს ოთხი გირვანქა. მომივიდა ამბავი, რომ მდინარე ნერპას ჩასხდნენ პატარა ნავში ხუთი კაციო და ხუთიც დამორი. ქართველი სამხარაძე და რუსი პავლოვი დაიხვრჩნენო. რადგან სამხარაძეს ცოლ-შვილი ჰყავდა ჩემთან ბოდაიბოში უგრომოდ დატოვებული და თანაც საეჭვოც იყო ხუთ კაცში ორი ოქროიანი კაცის დახრჩობა, ამისათვის წაველ იმ მხარეს, რათა გამეგო სინამდვილე მოსულ ამბავისა, ბევრი ვეცადე, მაგრამ საჭირო და სასარგებლო კვალს ვეღარ დავადეგ, ამასობაში კიდეც მომისწრო წყლების გაყინვამ, რის გამო დავრჩი დიდხანს იმ მხარეში და ეს ამბებიც ადრე ვერ შეგატყობინეთ. ასე გაშინჯეთ რედაქციისაგან გამოგზავნილი გაზეთებიც წაუკითხველი დამრჩა მარიამობის თვის დამლევიდამ.

სამხარაძის ერთი ამხანაგთაგანი, რომელსაც რაღაც ღალატი შეამჩნიეს, ოკუდომბერში მოჰკლეს; ხოლო გვამი სამხარაძის და პავლოვისა აღარ სად აღარ გამოჩნდა ნერპიდამ ვიდრე იარკუტსკამდის, (მდ. ნერპა ჩადის მდ. ვითიმში, გაივლის 600 ვერსს და ჩადიან მდ. ლენაში).

ხმა არის, ვითომ სამხარაძე და პავლოვი მოუკლავთ ხმელეთზე, მერე ქვები შეუბამთ და ისრე გადაუგდიათ წყალში, წყალმა აღარ ამოატივტივაო.

დ. ადა.

უცხოეთი

ოსმალეთი. ახალ მემორანდუმით, რომელიც ოსმალეთმა გაუგზავნა დიდს სახელმწიფოებს, ბულგარიას ბრალი ედება, ვითომც საომრად ემზადება. აი, სხვათა შორის, რას ამტკიცებს ოსმალეთის მთავრობა: 1, მაკედონიის მცხოვრებთა შესაიარაღებლად, როდესაც-კი ბულგარია მოინდომებს, რვა ადგილსა აქვს იარაღისა და წამლის საწყობი; 2, საზღვარს ახლო სადგომი ჯარები საომრად უკვე მზად არიან და მხოლოდ ბრძანებას ელიან; 3, სოფიის თოფხანებში გაცხარებული მუშაობაა და ხელოსანთა რიცხვი ბევრით მეტია წინანდელზე; 4, ის გზები, რომლებზედაც არტილერიამ უნდა გაიაროს, ჩინებულად არის შესწორებული: 5, ყოველ ოლქში განკარგულება მიცემულია, რომ ეტლები მზად იყოს სურსათისა და საომარ ნივთების გადასაზიდად; 6, მატარებლები მოწყობილია სამხედრო საჭიროებისათვის; 7, არტილერიისათვის საგანგებო მატარებლები დამზადებულია; 8, შემუშავებულია წესი სურსათისა და სხვა საჭირო მასალის მოპოვებისა ომის დროს; 9, ომისათვის საჭირო თანხა უკვე გადადებულია; 10, წისქვილები და საცხობები დაკვეთილია სამხედროებისათვის და უკვე მუშაობენ; 11, ციხე-სიმაგრეები აშენდა სოფიასა, ტირნოვსა და სხვა ქალაქებს ახლო; 12, ხიდები და ბოგირები განახლებულია; 13, ჯარის იარაღი გალესილია; 14, დინამიტი ცხადად ურიგდება და ეგზავნება კომიტეტებს; 15, აფიცრები აპირობენ აჯანყებულებს შეუერთდნენ და სხვ.

როგორც დეპეშები გვაუწყებდნენ, ბულგარიის მთავრობამ პასუხი გასცა პორტას და მისი ბრალდება უსაბუთოდ აღიარა. მაგრამ ცხადია, რომ ორთავე მხარე მართლა გულმოდგინედ ემზადება საომრად და ამ გაზაფხულს მათი შეტაკება აუცილებლად უნდა მოხდეს.

თიბეთი. ინგლისელების სამხედრო ექსპედიციას თიბეთში რაღაც დაბრკოლება გამოუჩნდა. წინად თიბეთის მართებლობა და ხალხი თითქო მეგობრობას უცხადებდა, მაგრამ ბოლოს დროს პირი უბრუნებიათ და თითქმის მტრულად ეკიდება. ადგილობრივი ქურუმები—ლამები ხალხს უქადაგებენ შეიარაღდეს და ისე წინააღუდგეს ინგლისელებს. ლონდონის გაზეთები ამის გამო იუწყებიან, ვითომც თიბეთელებს რუსეთმა შეუცვალა გული და დახმარებაც აღუთქვა, ინდოეთის მთავრობა სცდილობს დააშოშმინოს თიბეთელები ჩინეთის მთავრობის მეოხებით, მაგრამ ჯერ ვერა გაუწყვია-რა. ჩინეთის მთავრობა უცხადებს ინგლისს, რომ მე ვერას შევასმენ თიბეთელებს. მეც არ მემორჩილებიანო. თიბეთელებს შეუძლიანთ 10,000 კაცი გამოიყვანონ საომრად. მაგრამ ინგლისის ექსპედიცია არც ძალიან შიშობს, რადგან თიბეთელების ახლად შეკრებილი ჯარი შესამჩნევ წინააღმდეგობას ვერ გაუწევს, ხოლო სურსათის შოვნას გაუძნელებს. ამბობენ, დალაილამა ელჩებსა ჰგზავნის რუსეთთან და რაღასაც ავალებს, ხოლო ელჩები გაზაფხულზე ადრე ვერ მიაღწევენ რუსეთის სატახტო ქალაქამდე.

ნარკვევი

სასამართლოს მდგომარეობა რუსეთში „სუდებნი გაზეტა“-ს უნუგეშოდ მიაჩნია.

«წარსულ წელს ჩვენს სასამართლო უწყებას კარგი დღე არ ადგა. იმას გარდა, რომ გარედგან არ უსვენებდნენ სასამართლოს დედა-აზრს და, მაგალითად, ნაფიცთა სამსჯავროს, არც თუ თვით სასამართლო იყო ჯეროვანად მოწყობილი. შეცდომა არ იქნება ვალიარო, რომ ჩვენი მოსამართლენი სიმშვიდესა და სულის სიმტკიცეს მოკლებულნი იყვნენ, შედარებით წასულ 30 წლებთან, და დაღვრემილებაც უფრო დაეტყოთ. გასაკვირველი არის, რომ ამ გარემოებაში სასამართლოს ახალი თვალსაჩინო ძალა აღარ ემატება და პირიქით სტოვებენ არა მარტო კარიერის მძებნელნი, არამედ გამოცდილნი და განვითარებულნი მოსამართლენიც, რომელთა შეხებით სასამართლოში დამკვიდრებულ იყო სასურველი და საკეთილო ტრადიცია პირველის ათის წლისა რეფორმების შემოღების შემდეგ. ვერავინ უარყოფს, რომ არამც თუ სენატში, არამედ სასამართლო პალატასა და საოლქო სასამართლოშიაც მღაღადებლად და მატარებლად საუკეთესო დედა-აზრისა და ჩვეულებისა ხნიერნი მოსამართლენი იყვნენ. მათს ღვაწლს ჩვენს დროს მხოლოდ დასაფლავების ჟამს იხსენიებენ და მათი ღვაწლი სამწუხაროდ თანდათან მცირდება: ეგენი პატივსაცემი მხცოვანნი არიან, რომელთაც ნეკროლოგამდე მცირე დრო-ღა დარჩენიათ. რასაკვირველია, ახალ მოსამართლეთა გამწესება უფრო მცირე იმედს იძლევა, ვიდრე ძველ მოღვაწეთა დაკარგვა-გოდებს.

—

„ნოვოსტი“-ში ვკითხულობთ: „მოსკოვის უწყება“ ხელის მოწერას აცხადებს... რუსეთის თავისუფალ ფლოტის გასაძლიერებლად... ომი მოგველის ინგლისთან და ფლოტი-კი ნაკლებად გვაქვსო. „მოსკოვ. უწყ.“-ის ერთი თანამშრომელი იუწყება, რომ მოსკოვ-ბრესტის რკინის გზის მოხელეებმა გადასწყვიტეს ხელის მოწერა გამართონ და თავის მცირე შეწირულობით იქმნება საძირკველი ჩაუდგან დიადს საქმესო. შემომწირველთ ორგვარი აზრი აღეძრათ—დაეხმარონ სახელმწიფოს ფლოტის გაძლიერებაში და უმთავრესად-კი ინგლისელები შეაშინონ“... ორასი მანათი უკვე მოგროვილა.

თეატრი და ხელოვნება

ქართული თეატრი

გუშინ-წინ დავესწარით „ვინძორის ნათლიდედების“ რეპეტიციას. პარტიები არტისტთა შორის შესაფერად არის განაწილებული. ოპერა აწყობილია ჩინებულად, განსაკუთრებით უკანასკნელი მოქმედება. შემზადებულია განგებ ამ ოპერისათვის რამდენიმე ახალი დეკორაცია. ელექტრონის სინათლე ისეთის შეხამებით ასხივოსნებს ამ დეკორაციების ფერადებს, რომ საოცნებო შთაბეჭდილებას უღვიძებს მაყურებელს.

—

დღეს, 18 იანვარს, ავლაბრის ახალ (არაქსიანის) თეატრში, ავლაბრის ქართველ სცენის მოყვარულთა მიერ, იაფ-ფასიანი წარმოდგენაა დანიშნული. წარმოადგენენ კ. მესხის ისტორიულ 5 მოქმედებიან დრამას «თამარ ბატონიშვილს». ადგილების ფასები: პირველი რიგი, რომელიც დღევანდლამდე 1 მანეთი იყო, დღეს 40 კაპეიკია, ისე რომ ნახევარ ფასზე უფრო ნაკლები. იმედია, ავლაბრის ღარიბი ხალხი ბლომად ივლის, რადგან აქამომდე სიძვირის გამო ვერ ახერხებდა. წარმოდგენა დაიწყება დილის 12 საათზე.

წერილი

რედაქციის მიმართ

„ცნობის ფურცლის“ № 2375 «წერილი გორიდან»-ის ავტორი, ბ-ნი ვ. გიუნაშვილი, სხვათა შორის, გორში 4 იანვრის წარმოდგენის მონაწილე სცენის მოყვარულთ ლანძღავს, თუმცა, როგორც თვითვე აღიარებს, წარმოდგენას არ დასწრებია. საზოგადოდ გორელები და კერძოდ გიუნაშვილიც იმ დარბაზს, სადაც წარმოდგენა გავმართეთ, «კლუბს» უწოდებენ, ნამდვილად-კი «სარაია» რომ დავარქვათ, ჭეშმარიტებასთან უფრო ახლო ვიქნებით, რადგანაც, დამერწმუნეთ, ტფილისის ყოველი «ტრაქტირი» გორის «კლუბს» გაცილებით სჯობია.

გორელებმა თითონ მიგვიწვიეს. ჩვენ რომ გორის კლუბის მოწყობილება გვცოდნოდა, აქედან ფეხსაც არ გავდგამდით. ისიც საკმარისია, რომ სცენა სამ ჩარსს საჟენს არ აღემატება, გასასვლელი კულისები არა აქვს, დეკორაციები ყოველ წუთს „ბუნტს“

საკვირველი არ არის...
ვნახოთ, თუ რას აიტაცებენ!..

—

აი თვალები შემომაწანათა ლ. ყიფიანის წერილმა. ვთქვი, მოდი, ჩავათვალიერებ, ნიჭიერი კაცია, სხარტული კალმის ხმარება იცის მეთქი. არც მოვტყუვდი. ეშხიანად არის დაწერილი. მაგრამ ერთს ალაგას აქაც ჭუჭყიანი ფონია და აჩრჩობს ადამიანს; თუმცა-კი, უნდა სთქვას კაცმა, უსათუოდ აღსანიშნავი კია ის ინტრიგები, ის არა ადამიანური საქციელი, რაც ჩაიდინეს „ღალატის“ გამო: უღალატეს სინიდისსაც, ადამიანობასაც, ზრდილობასაც და ვინ ჩამოსთვლის კიდევ რასა...

მაგრამ მაინც ვიტყვი ამ ნიჭიერ მწერალზე:

შენი რაა, რომ ამშვენებ,
შენს დამღუპველს ოსმალეთსა“!..

—

კიდევ ინტრიგა „ღალატის“ გამო, კიდევ ადამიანობის ღალატი!..

— გაიგე, ქუთაისში რა სისაძაგლე მომხდარა?!.. დაანებე მაგ გაზეთს თავი... მითხრა ერთმა ჩემმა მეგობარმა და გაზეთი ხელიდან გამომტაცა... ქუთაისში 10 იანვარს, სწორედ წარმოდგენის დროს, როცა ხალხი თავს იყრიდა თეატრში, გაავრცელეს ხმა: ნინო ჩხეიძე დრამატიულ კომპანიას დაუთხოვნია დასიდან სამუდამოდ ზედ ბენეფისის წინა დღესაო.

— გიკვირს?

— მაშ არ გავიკვირვო!

— ვინა გვჯობიან დღეს ჩვენ ღალატში, ჯაშუშობაში, მატრაბაზობაში, უსინიდისობაში?! ყველა ეს არ ახალია, ძველია...

— ჰო, იმას ვამბობდი! გაჩნდა თურმე ხავილი, კნავილი, ჩხავილი, ტირილი, ხანჯლის ტრიალი, „ყურთმაჯთ ბრიალი“, და მიატოვეს თეატრი...

იმ დროს კი ტფილისი დიდებულად ემზადებოდა ნინო ჩხეიძის საბენეფისოდ და მართლა დიდებულად გადიხადეს ამ საყვარელ მსახიობ ქალის დღესასწაული.

რა სახელი უნდა გამოუძებნოთ ამ საქციელს იმ წყეულისას, რომელმაც ეს ამბავი მისწერა ქუთაისს ასაშფოთებლად?!

მე ვერ მიპოვნია და ვინც აღმოაჩენს, პრემიად ერთ ცალს „ღალატისას“, «მოამბის» ნათარგმნს, მივართმევთ.

ია ერაძე

—

ჩვენებური ამბები.

ჭიათურა. ჭიათურის სამკითხველოს მკითხველად მანდილოსნები არ ჰყოლია. ეხლა კი, ერთ ჯგუფს მანდილოსნებისას განუზრახავს სამკითხველოში იარონ. დიახ, განიძრახეს და დადიან კიდეც. მაგრამ არა ჟურნალ-გაზეთების საკითხავად, არამედ, „კომპლიმენტების“ ლექციების მოსასმენად. პროგრესია, მაშ რა არის?!

—

ამა იანვრის დამლევს სრულდება 25 წელიწადი, რაც კ. მ. სამოღვაწეო ასპარეზზედ გამოვიდა. აღტაცებით მოელიან ზოგიერთი აქაური ახალგაზდები „იუბილეს“ და იუბილარისათვის საჩუქრებიც აქვთ დამზადებული. თუ როგორ ჩაივლის იუბილეი, შემდეგში გაცნობებთ.

—

გამოვიდა და დაურიგდა მკითხველებს ადგილობრივი საკვირაო გაზეთ „ნამცეცის“ 1-და-2 ნომრები, გაზეთის პროგრამას და რედაქტორ-გამომცემლებს შემდეგისათვის გავაცნობთ მკითხველებს; მხოლოდ, ჯერ-ჯერობით, ისარივით მოხვდათ გულში, ვისკენაც კი იყო მიმართული.

ჩვენც, ჩვენის მხრივ, ვუსურვებთ ახლად გამოჩეკილ გაზეთს დღეგრძელობას.

ფოთურეს-პირელი.

—

ნარევ-ნაკვეს-გასართობი.

გამოცანები

1

უმწიკვლობით, ცოდნით, აზრით
მეგობრები მაფასებდნენ,
დარჩეული დას-დასები
ჩემს მტრებს ხმალით იგერებდნენ.

—

მაგრამ „რაცხა“ დამემართა—
გუბერნია ვერ გავმართე,
წვრილ მოხელეთ მივენდევი,
ჩემი საქმე მე ვერ ვმართე.

—

დასწერდენ და ხელს ვაწერდი,
მეტი ჯაფა არ მჭიროდა.
თურმე ჩემთან ქრთამს იღებდენ,
მე კი ესა არ მჯეროდა.

—

ჩემი საქმე ჩემმა გულმა
დაჩრდილა და მთლად დაბინდა;
მარგალიტი ეგრეცა სჯობს,
ათასჯერაც „მინა მინდა“.

2

დიპლომიც მაქვს, ფულიც ბევრი,
გვარიც, იცით, არ მაკლია,
მაგრამ, ჩემდა გულსაკლავად,
ჩემთვის ყველა ეს ნაკლია.
ვერც ერთს ვხმარობ, ვერც მეორეს,
მესამე მთლად შევარცხვინე,
აზნაურებს წინ ვუძღოდი,
მათ სახელი წავუხდინე.
მხეცი სახლში შემოვარდა,
„გარეთ გადით“, დაგვიძახა,
გუბერნია დამავიწყდა,
დავაფჩინე შიშით ხახა.

3

გურულებმა დაამტკიცეს,
რომ ყველაფრით დალარიბდნენ..:
რა-კი გაძღნენ, გაყოჩაღდნენ,
ყუთში კენჭებს მარჯვეთ ჰყრიდდნენ,..

4

ჩემი მაზრა გამოკეთდა...
ახლა სწორედ კარგათ სთვლიან,
და მე სხვას რას გავაკეთებ,
ქრთამს არ ვიღებ, მიმადლიან.

5

რაჭა-ლეჩხუმს დღისით, მზისით
კრიტიკოსი ცხვირს ვერ შეჰყოფს,
მაშა ჩვენს მოღვაწეობას
ვინ გაჰკილავს, ვინ დაგვიგმობს.

6

ჯერეთ გამოუცდელნი ვართ
უფროსებსა ჭხამს, ვუყუროთ,
ჩვენთა ძველთა გვარს და სახელს
გვსურს ერთგულად ვემსახუროთ.

7

სწორედ უნდა გამოვტყდეთ, რომ
რეგრესის გზას დავადექით,
დიდებულთა წინა პართა
ურცხვნი შვილნი გამოვდექით.

(შემდეგი იქნება).

—

დეკადენტი.

ჩვენს ქალაქში ხშირად ხვდება
საოცრება მეტის მეტი:
ქართველების გადამგვარე,
უცნაური, გულის მწყვეტი.
ტანთ საცმელი ჭრელი-ჭრული
თითქო იყოს შლილი, ცეტი;
აქეთ ვკითხე, იქით ვკითხე,
სთქვეს: არისო **დეკადენტი.**
თავზედ ქუდი სოკოს უგავს,
ტანზედ პალტო და ჟილეტი,
მოყვითანო ფეხსაცმელი,
წინაც გადაპრილი წვეტი.
ხელში წკეპლა უკავია,
თითქო მატყლი აქვს საპენტი;
აქეთ ვკითხე, იქით ვკითხე,
სთქვეს: არისო **დეკადენტი.**
ქალს ქართულად თავი ხურავს,
ტანზედ აკრავს ძვლის კორსეტი,
ზედ აცვია შავი კაბა,
გარეშემო კრემის ლენტი.
ღვინის ფერი დასახური,
ყმაწვილ კაცის გულის მჩხვლეტი,
აქეთ ვკითხე, იქით ვკითხე,
სთქვეს: არისო **დეკადენტი.**
მეც, ამისა მაცქერალსა,
დამეხვია თავსა რეტი,
ვსთქვი, თუ ყველა ასე გახდა,
მე ვიქნები მათში მეტი.
მოვალე ვარ, ამის შემდეგ,
ხელთ ავილო დიდი კეტი,
თითო თითო ვუთავაზო,
საცა შემხვდეს **დეკადენტი.**

ან. განჯის კარელი.

—

დეპეშა

(„შურდულის“ დეპეშათა სააგენტოსაგან)

17 იანვარი.

ტფილისი. ნინო ჩხეიძემ შემდეგი დეპეშა მიიღო ქუთაისიდამ: ვწუხვართ, რომ დასიდან დაგითხოვეს; მოვდივართ რამდენიმე „ყარაჩოღელი ბიჭი“ და ქართულ თეატრს ძირიან-ფესვიანად დავანგრევთ და კომიტეტს დედის ხსენს ვარწყევინებთო.

ფოთი. პალმს იჯარით აუღია, ფოთი ბათუმს ტელეფონით უნდა შეუერთოს, რომ ზერე-ქვერედ აცხოს ჭორები თავის გაზეთში. დედა-ბოძი, რომლის საშუალებითაც გადააბამს ამ ორს ქალაქს ტელეფონის მავთულებით, უკვე ჩაუსვამს.

ოზურგეთი. ამ დღეებში აქაურს ვაჭრებს კრება ჰქონდათ და რამდენიმე მცირე წლოვანი ნოქარი სისხლის სამართალში მიუციათ; მსაჯულებად ვაჭრებივე იქნებიანო. საქმის გარჩევის დროს ითავმჯდომარებს ბ. გაბდენძილაძეო.

ოზურგეთი. ოზურგეთი ძაძებით შეიმოსა, რადგან საუკეთესო მსახიობმა ვასომ დასტოვა ქალაქი და გაემგზავრა სხვაგან სამსახურის გამოო. გლოვა ექვს თვეს გასტანს. წარმოდგენები აკრძალულია. აქაური დასი საგასტროლოდ ემზადება.

ქუთაისი. ბულვარში დღეს დიდი მითქმა-მოთქმაა ნ. ჩხეიძის გამო. ვინ საძაგელმა აგვიგდო მასხარად მთელი ქალაქიო.

რედაქტორ-გამომცემელი ია ერაძე.

ნენ და დასასრულ ფარდაზედ მიბმული ფუთიანი ქვა აჰყვებოდა ხოლმე. ყოველ წუთს ზევით ვიხედებოდით. ჩვენ ხომ გორის „კლუბში" არას დროს არ შევალთ, ამ სხვებსაც ვურჩევთ, თუ თავის გატეხა არ უნდათ, ერიდონ გორის „კლუბის"(!!) საფოხს.

სცენის მოყვარული

მადლობის გამოცხადება.

გორის სამოქალაქო სასწავლებლის ღარიბ შეგირდთა დამხმარებელი საზოგადოება გულითადს მადლობას უძღვნის ტფილისის ქართულ დრამატიულ საზოგადოების და მის თავმჯდომარეს ბ-ნს ქართველიშვილს, რომელმაც დაუთმო ზემოხსენებულ საზოგადოებას ღარიბ შეგირდთა დასახმარებლად 100 მანეთი, შემოსული 13 დეკემბერს გორში ქართულ წარმოდგენიდგან, 2) წარმოდგენისათვის მთავარ პროვიზორს ალობოდანის ძეს მახინაძეს, 3) ქართულ დრამატიულ დასის არტისტებს: ნ. გაბუნიაცაგარელისას, ელ. ჩერქეზიშვილისას, ტ. აბაშიძისას, ჯავახიშვილისას, ვას. აბაშიძეს, ს. ზავრიძეს, იმედაშვილს, ახოსპირელს, საფაროვს, ივანიძეს და გვარაძეს, რომელთაც მიიღეს წარმოდგენაში მონაწილეობა და დაუბეს თავიანთ თამაშობით გორის პუბლიკა 4) კამანდირს გორის პოლკისას პოლკოვნიკს რიაბუხინს, რომელმაც იაფად დაუთმო სამხედრო მუსიკა და 5) გორის მოქალაქეს ალიხანოვს, რომელმაც უსასყიდლოდ დაუთმო შენობა გამართულ წარმოდგენისათვის.

საზოგადოების თავმჯდომარის ამხანაგი
ნ. პოგორელოვი.

„ივერიის" ფოსტა

ლ. წ—ძეს. სიკვდილსაც დავიწყებიხართ. ვასწორებთ ჩვენს შეცდომას.

სამტრედიას. **ვ. მ. კ—ძეს.** სამწუხაროდ, თქვენის თხოვნის არულება არ მოხერხდება.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

16 იანვარი

პავლოგრადი. ნოვო-მოსკოვის მაზრაში მძვინვარებს სახადი.

მოსკოვი. საგუბერნიო ერობამ გადაწყვიტა გაჰმართოს წელს საზოგადო განათლების კურსები საერობო სკოლების მასწავლებელ ქალთა და კაცთათვის.

ნოვგოროდი, საგუბერნიო კრებამ სასურველად სცნო შემცირდეს საარჩევნო ცენზი და მიეცეთ დედაკაცთ ნება პირდაპირი მონაწილეობა მიიღონ საარჩევნო კრებაზე და არჩეულ იქმნან ხმოსნებადაც.

პორტ-არტური. როგორც ზედ-მიწევნით მოკრებილ ცნობათაგან სჩანს, არც პორტ-არტურსა და არც ნაღასაკში კერძო სავაჭრო ფლოტის სააგენტოებში იაპონელებს არ უმსახურნიათ და მათის დათხოვნის ამბავი მტკნარი სიცრუეა.— ხაონიის სადგურზე ხუნხუზების ბრბო დაესხა თავს საღამოზე ჩინელს თარჯიმანს, დასჭრა, გაძარცვა და მიიმალა სიბნელეში. დაუწყეს ძებნა და ვერავინ იპოვნეს.—როტმისტრს ლედინგს, როცა ჩაიარა ბოძივის ნაწილი რკინის გზისა კვანტუნის ოლქში, ბრძოლა მოუხდა ხუნხუზებთან; რუსთაგან დაჭრილ იქმნა ერთი ყაზახი, ხუნხუზი 9 იქმნა მოკლული.— „ნოვი კრაი" მსჯელობს ხუნხუზთა საწინააღმდეგო ბრძოლის შესახებ, აღნიშნავს მათს მოურიდებელს კადნიერებას და ამ ბოლოს დროს მათს თავ-დასხმასაც-კი ევროპიელებზე, ამტკიცებს, ჩვენი ბრძოლა დღევანდელს გარემოებაში მოუწესრიგებელია და იმ აზრს დაასკვნის, რომ ამ ბოროტების აღმოფხვრა შეიძლება მხოლოდ ჩინელ მოხელეთა მაგიერ რუსების დანიშვნით მანჯურიაშია. ხუნხუზების არსებობა შედეგია ჩინეთის სახელმწიფო წესიერების ნაკლულევანებისა, ხალხის მონობისა, სამოქალაქო უფლებათა მერყეობისა და იქ გამეფებულის თვითნებობისა და მექრთამეობა-მოსყიდვისა.

ბერლინი. ბელგიის მეფე წაბრძანდა. იმპერატორმა ვილჰელმმა გააცილა ვოკზალამდე.

პარიჟი. საკასაციო სასამართლოს თავმჯდომარემ დაჰნიშნა მოვაზირე ბაბე მომხსენებლად დრეიფუსის პროცესში.

რომი. გადაიფიქრეს გამოქვეყნება პაპის ენციკლიკისა „veto"-ს უფლების წინააღმდეგ.

სტამბოლი. მსოფლიო პატრიარქის სინოდმა აირჩია არქიმანდრიტი სევასტიანი იუსკიუბის მიტროპოლიტად.

ტოკიო. („რეიტერის სააგენტო") უხუცესნი სახელმწიფო მოღვაწენი შეიკრიბნენ ბჭობად იმპერატორის თანდასწრებით — გაფაციცებული მზადება რუსებისა საომრად კორეის სამზღვარზედ დიდს მითქმა-მოთქმას იწვევს. — იაპონიის მთავრობა გამოსცემს 5%-იან სესხს 100,000000 იენისას; სახელმწიფოს ხაზინის ხელში იქნება სოფლის საზოგადოებათა ბაჟი, რომელიც მამულებიდან შემოდის სულ 25,000,000 იენი; უნდათ აგრეთვე მოუმატოთ ბაჟს შაქარზედ. აქედან შემოვა 15 მილიონი. დანარჩენი 40 მილიონი დარჩება ძირს მით, რომ ზოგიერთი საზოგადო სამუშაო შეჩერებულ იქმნება. შემოსავლის გადიდება 80 მილიონ იენამდე ყოველ წლივ გარანტია იქმნება იმ სესხის სარგებლის გადახდისა, რომელიც აღებულია სამხედრო საჭიროებათათვის.

პეკინი (რეიტერის სააგენტოსი). მანჯურიის გენერალმა ჩენგჩიმ დეპეშით აუწყა გარეშე საქმეთა სამინისტროს, რომ რუსის მთავრობამ ითხოვა 500 ურემი სამხედრო საჭიროებათათვინ; სამინისტრომ უპასუხა, ჩინეთის გარდაწყვეტილების ძალით, რომ უნდა დაცულ იქმნას სასტიკი ნეიტრალიტეტი, ჩენგჩის არავითარიმე უფლება არა აქვს მისცეს ურმები.

ქრისტიანია. სტორტინგის კომისიამ მიიღო კანონ-პროექტი, რომლის თანხმად ქალებს ენიჭებათ უფლება ადვოკატობისა.

17 იანვარი.

კოლომბო. („რეიტერის სააგენტო"). იაპონიის სამხედრო გემები „ნისსინი" და „კასუგა" ზღვაში გავიდნენ.

სეული. („რეიტერის სააგენტო"). ანდუნში ათასი რუსის ჯარის კაცი მოვიდა.

ბერლინი. კომანდირი კრეისერისა „ხაბიხტა" იტყობინება, მოგვივიდა ცნობა, რომ ოკაგანდისთან კაფრები მეამბოხეთ შეუერთდნენ. —მაკედონიის ჟანდარმერიის რეორგანიზაციაში მონაწილეობის მისაღებად გაიგზავნა მაიორი ალტენი. —პოდპოლკოვნიკმა ციულოვმა კარუბებში გაგზავნა შიკრიკი, 2 იანვარს ორასი კაცით დავიჭირე ოკაგანდი და ითხოვა არტილერიის რაზმი მიაშველონ. ვინდგუკუს დასახსნელად გაგზავნილი რაზმი 30 და 31 დეკემბერს უკუ აქციეს. მისვლა-მოსვლა ვინდგუკუსთან სრულად შეწყვეტილია. ციულოვისაგან გაგზავნილმა, 70 კაცისაგან შემდგარმა რაზმმა ბრძოლა გაუწია 7 იანვარს მტერს ვალდასა და ოკაზიზ შუა. ნემენცებს შვიდი კაცი მოუკლეს და სამი მსუბუქათ დაუჭრეს. მტერს 20—25 კაცამდე მოუკლეს.

პეტერბურგი. შინაგან საქმეთა მინისტრმა გაზეთ „კურიერის" ცალკე ნომრობით გასყიდვა აკრძალა.

პეტერბურგის ბირჟა

6 იანვარი 1904 წ.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	94,
ბერლინში 100 მარკაში	—
პარიჟში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები	94,95
ბერლინში „	46,30
პარიჟში „	37,72½
ბირჟის დისკონტი	5—6½%
4% სახელმწიფო რენტა	98 გაყ.
1% სახ. სესხი 1902 წ.	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა	95⅛ მყ.
5% პირ. შინაგ. მომგ. ბილ. 1864 წ.	405 გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	322 წვ. გაყ.
5% გირავნ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა.	271 გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
4½% ობლიგაც იმავე საზოგადოებისა.	—
4½% ტფილ. საადგ. მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	—
5% გირავნობის ფურც. იმავე ბანკისა	192¼
6% ქუთ. საად მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	91 გაყ.

რკინის გზის მიმოსვლა.

15 ოქტომბრიდან 1903 წ.

(ნაჩვენებია ტფილისის საათით)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათომს: 1) დილის 8 ს. 8 წ. 2) საღამოს 6 ს. 28 წ. 3) შუადღის 2 ს. 58 წ. (მხოლოდ ბორჯომამდე).

ბაქოს: 1) შუადღის 1 ს. 8 წ. 2) საღამოს 10 ს. 28 წ. 3) დილის 7 ს. 34 წ. 4) საღამოს 5 ს. 28 წ. (**მოსკოვს** მიმავალი, მხოლოდ სამდაბათობით).

ყარს-ერევანს: 1) შუადღის 1 ს. 28 წ. 2) საღამოს 11 ს. 13 წ.

ბ) ბათომიდან გამოდის:

ტფილის-ბაქოსაკენ: 1) დილის 9 ს. 32 2) ღამის 12 ს. 8 წ.

გ) ბაქოდან:

ტფილის ბათომისაკენ: 1) შუადღის 1 ს. 18 წ. 2) ღამის 11 ს 28 წ. 3) დილის 4 ს. 48 წ. (მხოლოდ პარასკევობით); 4) დილის 4 ს. 58 წ.

დ) ქუთაისიდან:

ბათომისაკენ: 1) შუადღის 3 ს. 18 წ. 2) ღამის 1 ს. 58 წ.

ტფილის-ბაქოსაკენ: ღამის 3 ს. 58 წ3

ე) შორაპნიდან:

ჭიათურა-დარკვეთისაკენ: 1) დილის 6 ს. 58 წ. 2) საღამოს 5 ს. 58 წ.

ვ) დარკვეთიდან:

შორაპნისაკენ: 1) დილის 11 ს. 43 წ. 2) ღამის 10 ს. 8 წ.

განცხადებანი

ქუთაისში
ს. ბ. თოფურ ას
სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშე, 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროს კოპიული გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებისენით და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

ფასი დღე-ღამეში ჭამა-სმისა და მკურნალობისათვის 1 მანათიდან 3 მანეთამდე.

ყველას

ადვილად და პატიოსნურად იშოვის თვეში 400 მანეთს. არც დიდი ცოდნაა საჭირო და არც ხარჯი, მხოლოდ ჩქარა გამოგზავნეთ თქვენა

ადრესი: U. 111 an des Annoncen-Bureau des Merkur in Mannheim Meerfeldstrasse, 44.
(50—49)

Духи, мыло и цвѣточный о-де-колонъ
Т-ва А. Ралле и К°
Парфюмерія
„Шампака"

გამოვიდა და იყიდება ყველგან „წერა-კითხვის საზოგადოების" გამოცემული საქართველოს
კალენდარი
ვ. გუნიასი
რედაქცია ვ. გოგიჩაიშვილისა.

კალენდარში მოთავსებულია სრულიად ახლად შესწორებული შემდეგი განყოფილებანი:. 1. საეკლესიო კალენდარი, 2. ცა და დედამიწა ასტრონომიულ-გეოლოგიური ცნობები. 3. სახელმწიფოთა მიმოხილვა, 4 კავკასია და საქართველო, 5. ფოსტა, ტელეგრაფი, ტელეფონი, რკინის გზა, გემების მიმოსვლა, 6. იურიდიული ცნობები, 7. წონა, ზომა, საწყაო და სხ., 8. სოფლის და საექიმო ცნობები, 9. სალიტერატურო განყოფილება, 10. კრებული საადრესო კალენდარი.—კალენდარში დაბეჭდილია, სხვათა შორის, შემდეგი წერილები: ა) სარწმუნოება საქართველოში, მ. ჯანაშვილისა, ბ) ცა და დედამიწა, X-ისა, გ) სახელმწიფოთა მართვა-გამგეობის ფორმები, დ) საქართველოს მართვა-გამგეობა მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში, ე) ქართული მწერლობა, პ. უმიკაშვილისა, ვ) ენა და ერი, პ. სურგულაძისა და სხვ.

კალენდარი დასურათებულია მრავალი სურათით. კალენდარი შეიცავს 800-მდე გვერდს. ფასი ერთი მანეთი.

მის იმპერატორებითის უმაღლესობის დიდის მთავრის ნიკოლოზ მიხეილის ძის კარის გამწვნი

ჩაი
ამხანაგობა ჩაის ვაჭრობისა
ვ. ვისოცკი და კო
მოსკოვს.
ტფილისის განყოფილება
მეიდანი, რკინეულობის ბაზარი, ტელეფონი № 432.

მიწის თანხა 6.000.000 მანეთი.
წლიური აღებ-მიცემობა 20.000.000 მანეთზედ მეტი.

Торговый знакъ утвержденъ Правительствомъ.
ВиКо

ჩაის მაღალის თვისების წყალობით და მეტადრე ძლიერის სურნელებისა, ნაზის გემოვნებისა და მუქის ფერის გამო, ჩვენმა ფირმამ დაიჭირა პირველი ადგილი ევროპაში წვრილად გაყიდულ ჩაის რაოდენობით.

ჩვენს ქარხნებში, რომელიც მოსკოვსა და ოდესაშია, საცა იწონება ჩაი და იხვევა პარკებად, მუშაობს 1,500 კაცზედ მეტი.

ჩვენი ჩაი იყიდება რუსეთის იმპერიისა და საზღვარ - გარეთის ყველა საუკეთესო მაღაზიაში.

ჩვენის ფირმის ჩაის ყიდვის დროს ვთხოვთ ბ-ნთ მყიდველთ მიაქციონ ყურადღება სწორედ ჩვენი სავაჭრო მარკა—**ხომალდია,**—მთავრობისაგან დამტკიცებული, ზედ დახატული, თუ არა და მოითხოვონ **ჩაი ვისოცკისა ხომალდით.**

გამგეობა ამხანაგობისა მოსკოვშია.

განყოფილებანი:

ოდესას, ვარშავას, როსტოვს-დონ., ეკატერინბურგს, ხარკოვს, ტფილისს, რიგას, ვილნოს და სიმფეროპოლში. აგრეთვე ნიჟეგოროდისა და ირბიტის ბაზრობაზედ.

ადრესი ამხანაგობისა მოსკოვსა და განყოფილებათათვის: „Товарищество чайной торговли В. Высоцкій и К-°".

დეპეშებისათვის: „Корабликъ".

ჩაი მოითხოვეთ ბანდეროლით

მის უდიდებულესობის საბერძნეთის მეფის კარის გამწვნი. საქართველოს ეგზარხოსის სასახლის მომწოდებელი

(20—10)

ОТКРЫТА ПОДПИСКА
НА 1904 ГОДЪ
на ежедневную политическую и литературную газету
„НОВОЕ ОБОЗРѢНІЕ"
(XXI-й годъ изданія)
ИЗДАНІЕ ГАЗЕТЫ БУДЕТЪ ВОЗОБНОВЛЕНО СЪ 15-го ЯНВАРЯ 1904 г.

Подписчики нынѣшняго года, какъ городскіе, такъ и иногородные, желающіе подписаться на будущій годъ, вносятъ 6 руб. за годъ и 3 руб. за полгода. Новые же подписчики на обычныхъ основаніяхъ вносятъ 7 руб за годъ и 4 руб за полгода.

Допускается разсрочка платежа. при подпискѣ—4 р., къ 1-му іюня—3 р. для сельскихъ учителей, народныхъ и школьныхъ библіотекъ и благотворительныхъ учрежденій сдѣлана скидка: годовая плата для иногородныхъ—6 руб., для городскихъ—5 руб.

Лицъ, желающихъ подписаться, контора проситъ увѣдомить ее о томъ и внести плату заблаговременно, чтобъ успѣть заготовить адреса.

Подписка принимается въ Тифлисѣ, въ конторѣ газеты. Барятинская ул. д. № 8.

Редакторы Г. и В. Тумановы. Издатель К. Тумановъ.

Печатается и въ среднихъ числахъ января поступитъ въ продажу составленная редакціею „Нов. Об." книга:

Къ 20-лѣтію изданія „Новаго Обозрѣнія"

цѣна съ пересылкой—30 коп.
Годовые городскіе и иногородные подписчики „Нов. Об." получаютъ эту книгу безплатно.

მიიღება ხელის მოწერა
საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო გაზეთი
წელიწადი „კვალი" მეთორმეტე
გამოვა 1904 წელსაც
ყოველ კვირა დღეს ერთიდან სამ თაბახამდე.
გაზეთის ფასი

ტფილისში: ერთი წლით ღირს 7 მ., ნახევარი წლით—3 მან. 50 კ., სამი თვით—2 მან. თითო ნომერი—15 კ.

ტფილისს გარეთ: ერთი წლით ღირს 8 მ., ნახევარი წლით—4 მ., სამი თვით—2 მამ, თითო ნომერი—15 კაპ.

ხელის მომწერლებს შეუძლიათ წლის ფული ნაწილ-ნაწილათაც შემოიტანონ

ხელის მოწერა მიიღება:

ტფილისში—„წერა კითხვის საზოგადოების" კანცელარიაში (სასახლის ქუჩა, თავად-აზნაურობის ქარვასლა), რკინისგზის სადგურზე პირველ კლასის ბუფეტში, ესტ. ჩხარტიშვილთან და თვით „კვალის" რედაქციაში (რუსის ბაზარი, საეკლესიო სახლში).

ტფილისს გარეთ:

ქუთაისში—მიტროფანე ლალიძესთან, ვ. ბეჟანეიშვილის წიგნის მაღაზიაში და ქუთაისის წიგნების გამომცემელ ამხანაგობის კიოსკში; ბათომში—სპირიდონ ქელიძის წიგნის მაღაზიაში; ოზურგეთში და ახალ-სენაკში—კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიებში; ჭიათურაში—კალისტრატე ჭიჭინაძესთან და კარპე მოდებაძესთან; ყვირილაში—ივანე არდიშვილთან; დაბა ხონში—სახალხო სამკითხველოში, ძველსენაკში—არსენ წითლიძესთან; ოზურგეთში—დომეტი შავიშვილთან; საბუნჩაში (ბაქო)—პეტრე მაჭავარიანთან.

რედაქცია უმორჩილესათ სთხოვს ხელის მომწერლებს თავიანთ ადრესები გარკვეულად დაწერილი გამოგზავნონ.

ადრესის გამოცვლა ტფილისს გარედ ღირს 40 კ.
ფოშტის ადრესი: Тифлисъ. Редакція „КВАЛИ".

Дозволено цензурою, Тифлисъ 17 января 1904 г. Типографія Е. Хеладзе Русскій базаръ, домъ армяно-григ. семинаріи. დროებით რედაქტორი გრ. ყიფშიძე, გამომცემელი ხარაჯიშვილი.